

20.02.2020

ყურადღება!!!

„საქართველოში ახალი კორონა ვირუსით (SARS -CoV- 2) გამოწვეული ინფექციის (COVID- 19) შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სამედიცინო და წესებულებების მობილიზების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 19 სექტემბრის №01-467/ო ბრძანების შესაბამისად:

„2². ამ ბრძანების N1 დანართით (ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) სამართავად მობილიზებული კლინიკები) განსაზღვრულ იმ სამედიცინო დაწესებულებებზე, რომლებიც „ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემის (EHR) ფუნქციონირებისა და წარმოების წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 3 იანვრის N01-1/ნ ბრძანებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო მონაცემების შეტანას ახორციელებს უშუალოდ EHR.MOH.GOV.GE-ზე, ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების სისტემაში (EHR), შესაბამისი ბრძანებით გათვალისწინებული ვადის დარღვევით ინფორმაციის გადაცემის შემთხვევაში, არ გავრცელდეს საჯარიმო სანქციები.“.